სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N271

ქ. ბათუმი 24 ივლისი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ, ინდ.მეწარმე თეიმურაზ წულუკიძე (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 60100000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2017 წლის 25 ივლისს (1 დღე) აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებს - ჟურნალისტებისათვის პოლონეთის რესპუბლიკიდან (სულ 5 პიროვნება), გაუწიოს ტრანსპორტით მომსახურება შემდეგი მარშრუტით: დახვედრა ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში და ტრანსფერი ქ. ბათუმში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 130(ასოცდაათი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2.დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია - ლილი კეკუა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

5. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**თეიმურაზ წულუკიძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: ხელვაჩაური, სოფელი მახვილაური
	საიდენტიფიკაციო კოდი: 61006012774
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*სს „საქართველოს ბანკი“* *ბანკის კოდი – BAGAGE22* ანგარიში N GE96BG0000000625532100
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**ინდივიდუალური მეწარმე**
_____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____ /თეიმურაზ წულუკიძე/ ბ.ა.